Gen Z-ის ახალგაზრდად ყოფნის ცხოვრებისეული გამოცდილებები და ყოველდღიურობა

გურანდა მიქავა

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრატურის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ დალაქიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

გურანდა მიქავა

15. 06.2023

მადლობა

დიდ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, მარიამ დალაქიშვილს, გაწეული დახმარებისთვის, მხარდაჭერისთვის და რჩევებისთვის. მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე თითოეულ რესპონდენტს გამოცდილებისა და ყოველდღიურობის გულწრფელად გაზიარებისთვის. ემოციური მხარდაჭერისთვის, მინდა, მადლობა გადავუხადო დედაჩემს, ოჯახს, მეგობრებს, კურსელებს და ინგლისურის მასწავლებელს.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება Gen Z-ის ცხოვრებისეული გამოცდილებებსა და ყოველდღიურობას. შესასწავლ ფენომენს წარმოადგენს Gen Z-ის ახალგაზრდად ყოფნის ცხოვრებისეული გამოცდილება თბილისში. კვლევის მიზანს წარმოადგენს შეისწავლოს სქესისა და ასაკის მიხედვით Gen Z-ის ახალგაზრდად ყოფნის ცხოვრებისეული გამოცდილება და ყოველდღიურობა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დღეს Gen Z-ის ახალგაზრდად ყოფნის გამოცდილება ბევრ საკითხს აერთიანებს, როგორებიცაა: წარმატება, წარუმატებლობა, დასაქმება, ბრაზი, პროტესტი, აქციები და ქვეყნის მომავალი. მათ ქმედებები და ფიქრები გამოკვეთილად ინდივიდუალისტურიაა. Gen Z-ის ყოველდღიურობასა და სოციალურ სამყაროს შორის განსხვავებები შეიძლება ითქვას წაშლილია. Gen Z-ის ყოველდღიურობაში სოციალური სამყარო შემოდის აქციებისა და ქვეყნის მომავალზე ფიქრის სახით. ასევე კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის, რომ ახალგაზრდების სუბიექტურ დროსა და სოციალურ დროს შორის არის დაპირისპირება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ახალგაზრდები აქციებზე გასვლით იბრძვიან სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის, მაგრამ მათ უჩნდებათ განცდა, რომ მათი აზრი არავის აინტერესებს. Gen Z- ის ყოველდღიურობაში სოციალური სამყაროს შემოჭრა და დროებს შორის დაპირისპირება იწვევს ნიჰილიზმს, უიმედობას, არასტაბილურობასა და შიშის განცდას.

საკვანძო სიტყვები: Gen Z, ახალგაზრდები, ცხოვრების გამოცდილებები, ყოველდღიურობა, დასაქმება, მიგრაცია, წარმატება მომავალი, თაობები, აქციები, პროტესტი, ნიჰილიზმი.

Abstract

This master thesis delves into the daily encounters of Generation Z residents in Tbilisi, focusing on their experiences as young individuals. The research aims to analyze how gender and age influence the everyday routine of young Gen Z members.

Research has revealed that Gen Z's experience of being young today includes many issues, such as success, failure, employment, anger, protest, protests, and the country's future. Their actions and thoughts are distinctly individualistic. The distinctions between Gen Z's every day and social worlds are almost blurred. The social world enters Gen Z's daily life in the form of stocks and thinking about the country's future.The research also revealed a conflict between the subjective time and social time of young people, manifested in the fact that young people struggle to participate in social life by attending protests. Still, they feel that no one cares about their opinion. In Gen Z's everyday life, the invasion of the social world and the confrontation between times lead to feelings of nihilism, hopelessness, instability, and fear.

Keywords: Gen Z, youth, life experiences, daily life, employment, migration, success, future, generations, actions, protest, nihilism.